

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

საერთო კრების ოქმი №10

29 ოქტომბერი, 2016 წელი

კრების ჩატარების ადგილი:

თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. 43

შპს. „პროფკავშირების კულტურის ცენტრი“.

დღის წესრიგი:

11:00-12:00 წევრთა რეგისტრაცია;

12:15 კრების გახსნა;

12:15-12:30 ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა;

12:30-13:00 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ასოციაციის თავმჯდომარე - ზაზა ხატიაშვილი.

13:00 -13:30 ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი და საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე - ირაკლი ყანდაშვილი.

13:30-14:00 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ციცილო ცხვედიანი.

14:00-14:30 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში - 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე - ლიანა მასკაშვილი

14:30-15:30 ადვოკატთა ასოციაციის საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობა;

15:30-15:45 პროფესიული ჯილდოს მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

15: 45- 16:00 ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრის არჩევა კომისიის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით;

17:00 კრების დახურვა.

რეგისტრაცია დაიწყო 09:30 საათზე და კრების გახსნის დროს 11:00 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობამ შეადგინა 330 ადვოკატი. საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, 11:00 საათზე დაიწყო ხელახალი რეგისტრაცია და 12:00 საათისთვის რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობა იყო 435.

კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - ზაზა ხატიაშვილის მისასალმებელი სიტყვით.

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის კანდიდატები: 1. ალექსი მერებაშვილი; 2. გიორგი ბოცვაძე; 3. დიანა მარტიაშვილი; 4. მაიკო ნიკოლაშვილი; 5. როლანდ შონია; 6. თენგიზ ხარებავა; 7. მაიკო უსტარაშვილი; 8. მარიამ დოლიძე; 9. მერაბ ცუხიშვილი; 10. დათო ცინცილაძე; 11. იონა კიკვაძე; 12. ვალერი დოლიძე; 13. ნინო ჭიპაშვილი; 14. იზა კალატოზიშვილი; 15. ნაზელი კლოიანი.

მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:

კენჭისყრის შედეგებით კრებამ ერთხმად დამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი. წინააღმდეგი არ ყოფილა, თავი არავის შეუკავებია. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა **დიანა მარტიაშვილი**.

პირველი საკითხი:

კრების თავმჯდომარემ - ზაზა ხატიაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2016 წლის იანვარ-ოქტომბრის საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო საინტერესო სიახლე - იურიდიულ პროფესიაში შემოსვლის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით, ახალი პროგრამის დანერგვის თაობაზე, რომელიც წარმოადგენს სავალდებულო სტაჟირების სიტემას და გულისხმობს ადვოკატის პროფესიაში შემოსვლის მსურველის პროფესიულ უნარ-ჩვევებში მომზადებას სასწავლო და პრაქტიკული კურსის გავლის გზით. სავალდებულო სტაჟირების სისტემის მიზანია, საადვოკატო საქმიანობის პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მქონე პირის პროფესიაში მიღება. სავალდებულო სტაჟირების სისტემის კონცეფციის პრეზენტაცია გაიმართა 2016 წლის 1 თებერვალს, ხოლო სისტემის ამოქმედება იგეგმება 2017 წლის 1 იანვრიდან.

თავმჯდომარემ კრებას მიაწოდა სასიამოვნო ინფორმაცია, რომ 2016 წლის აპრილის თვეში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს წევრები და საერთაშორისო მდივანი - დავით ასათიანი საფრანგეთში საქმიან ვიზიტით იმყოფებოდნენ. დელეგაციის წევრები პარიზის

ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტს- ფედერიკ სიკალის და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებელს - ანა სოულელიაკს შეხვდნენ. პარიზის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის ფედერიკ სიკალის და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტის ზაზა ხატიაშვილის შეხვედრის შემდეგ, თანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომლის თანახმად, მომავალი წლიდან, ქართველი ადვოკატები, რომლებიც ფრანგულ ენას ფლობენ, პარიზის ადვოკატთა ასოციაციის დაფინანსებით, პარიზის ადვოკატთა ასოციაციაში ორ თვიან სტაჟირებას გაივლიან.

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელი დატვირთული იყო მრავალი საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებით, სადაც განხილულ იქნა ადვოკატთა პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლობის და ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერების მექანიზმები.

თავმჯდომარემ ისაუბრა კონკრეტულ შედეგებზე, რაც მისი მხრიდან პერმანენტულ რეჟიმში განხორციელებულ აქტივობებს მოყვა და აქცენტი გააკეთა იმ საკანონმდებლო ცვლილებებზე, რომელიც ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერებისკენ არის მიმართული და რომელიც მნიშვნელოვანი მონაპოვარია ადვოკატთა კორპუსისთვის. კერძოდ, 2016 წლის ივნისის თვეში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ადვოკატის საქმიანობაში უკანონო ჩარევა სისხლის სამართლის წესით დასჯადი გახდა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებული პირის დაცვის განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, დანაშაულად ჩაითვლება. ამგვარი ქმედება, გამომძიებლისა და პროკურორის საქმიანობაში უკანონო ჩარევის ანალოგიურად, დაისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით 180-დან 240 საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით 1 წლამდე. იგივე ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით 2-დან 4 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით 3 წლამდე ან უამისოდ. გარდა ამისა, დამცველის (ადვოკატის) ან მისი ახლო ნათესავის მიმართ (იგულისხმება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე) სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სასჯელის სახით გამოიწვევს ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით 2 წლამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის – თავისუფლების აღკვეთას ვადით 2-დან 5 წლამდე; იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის, გამოიწვევს თავისუფლების აღკვეთას ვადით 4-დან 7 წლამდე, ხოლო ჯგუფურად ან/და არაერთგზის ჩადენის შემთხვევაში - თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 10 წლამდე.

თავმჯდომარემ დასძინა, რომ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების დარჩენილ ვადაში, იგი კიდევ უფრო ნაყოფიერად გამოიყენებს აღნიშნულ პერიოდს; არ დაიშურებს ძალისხმევას ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერებისა და ინსტიტუტციონალური წინსვლისთვის მაქსიმალურად ეფექტური შედეგის მისაღწევად.

მან მოუწოდა ადვოკატებს აქტიურობისკენ, მეტი ჩართულობისკენ, ადვოკატთა უფლებების დარღვევის ფაქტების შემთხვევაში მზადყოფნისკენ, მყისიერი რეაქციისკენ და პროფესიული სოლიდარობისკენ, რაც შექმნის მყარ საფუძველს თითოეული ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობისთვის, ეს კი საბოლოოდ ხელს შეუწყობს ადვოკატის პროფესიის ინსტიტუციონალურ გაძლიერებას.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო აღმასრულებელი საბჭოს ანგარიში 2016 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მეორე საკითხი:

საგანმანათლებლო საბჭოს წევრმა, ირაკლი ყანდაშვილმა დამსწრე წევრებს გააცნო ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2016 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ (დანართი #1). მან გამოყო ის ძირითადი აქტივობები, რაც განხორციელდა 2016 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში, კერძოდ:

1. სავალდებულო უფასო ტრენინგების ორგანიზება.
2. სამართლის სხვადასხვა დარგების მიხედვით ახალი სასწავლო მოდულების შემუშავება.
3. ვიწრო სპეციალიზაციის მიხედვით უფასო სასწავლო კურსების ორგანიზების დაგეგმვა და განხორციელება.
4. ონლაინ სწავლების და ტელეხიდის სისტემის დანერგვა.
5. პროფესიის წარმომადგენელთა გაერთიანებული შეხვედრების/სწავლების ორგანიზება.
6. განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის მონიტორინგის სქემა/ადვოკატთა გამოკითხვის შედეგების დამუშავება
7. საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზება.
8. ანალიტიკური კაზუსების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოქმედებების დაგეგმვა და განხორციელება.
9. საკვალიფიკაციო გამოცდის მოსამზადებელი კურსების ორგანიზება.
10. პროფესიაში შემომსვლელთათვის სტაჟირებისა და სწავლების სისტემის შემუშავება.
11. საგანმანათლებლო საბჭოს როლის გაზრდის მიზნით აქტივობების განხორციელება.
12. საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ტრენინგების ორგანიზებისა და თანამშრომლობის განვითარების კუთხით.

ირაკლი ყანდაშვილმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელი ნამდვილად გამორჩეული იყო მრავალი სიახლით და საინტერესო გამოწვევებით, რასაც ასოციაციის სასწავლო ცენტრმა წარმატებით გაართვა თავი, რისთვისაც მან მადლობა გადაუხადა სასწავლო ცენტრის თანამშრომლებს და დასძინა, რომ სრული სახით აღნიშნული ანგარიში ხელმისაწვდომია ასოციაციის ვებ-გვერდზე.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს მიერ 2016 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მესამე საკითხი:

ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის თავმჯდომარის - ციციხოველიძის მიერ წარდგენილ იქნა ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ 2016 წლის იანვარ-ოქტომბრის თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ (დანართი #2).

ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ციციხოველიძემ კრებას წარუდგინა ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ 2016 წლის იანვარ - ოქტომბრის თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ 2016 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მეოთხე საკითხი:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის წევრმა ელგუჯა ჩხაიძემ კრებას წარუდგინა სარევიზიო კომისიის ანგარიში 2016 წლის იანვარ - ოქტომბრის თვეში გაწეული საქმიანობის შესახებ (დანართი #3).

მან განაცხადა, რომ კრებაზე მოსვლა საპატიო მიზეზით ვერ მოახერხა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ - ლია მასიკაშვილმა და შესაბამისად, იგი როგორც სარევიზიო კომისიის წევრი, მზად არის საერთო კრებას წარუდგინოს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

ელგუჯა ჩხაიძემ ისაუბრა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების 25-ე მუხლის, 25.1 და 25.6 პუნქტებით სარევიზიო კომისიის საქმიანობისთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში, სარევიზიო კომისიის მიერ შესაბამისად განახორციელებული აქტივობების შესახებ, კერძოდ: ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს და თავმჯდომარის საქმიანობის შესაბამისობის დადგენის მიზნით მოქმედ კანონმდებლობასთან და ასოციაციის საწესდებო მიზნებთან, სარევიზიო კომისიამ 2016 წლის 28 მარტის დადგენილების საფუძველზე, გამოაცხადა კონკურსი (მ/წ 1 აპრილიდან 30 აპრილის ჩათვლით) ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2015 წლის საანგარიშო პერიოდის ფინანსურ აუდიტზე, რომელმაც მოიცვა შემდეგი ასპექტები:

1. ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსური რისკების იდენტიფიცირება;
2. ასოციაციის პოტენციური საოპერაციო და ფინანსურ რისკებთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემებისა და მექანიზმების ადეკვატურობის ანალიზი და შეფასება;
3. ასოციაციის საქმიანობის ამსახველი სხვადასხვა ფინანსური დოკუმენტაციის (სტრატეგია, საოპერაციო გეგმა, ბიუჯეტი, პროცედურები და ინსტრუქციები, თანამდებობრივი ინსტრუქციები, სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები, ანგარიშები, ორგანიზაციის მიერ გაფორმებული კონტრაქტები, გარიგებები და სხვა დოკუმენტები) შემოწმება, მათი არსებობის, მიზნობრიობისა და არსებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის თვალსაზრისით;
4. ფინანსური და მმართველობითი ანგარიშის განხილვა და შემოწმება;
5. ბიუჯეტის შესრულების კონტროლი;
6. ორგანიზაციის აქტივების მიზნობრივი გამოყენების კონტროლი;

7. ანგარიშგების პროცესების უნიფიცირება და სტანდარტიზება, შესაბამისი რეკომენდაციების წარმოდგენა;

8. ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისა და საგადასახადო ვალდებულებების შესრულების რევიზია და შესაბამისი სარეკომენდაციო დასკვნების წარმოდგენა.

2016 წლის 5 მაისს, სარევიზიო კომისიის სხდომაზე, წევრების მიერ აუდიტორული კომპანიების შერჩევის პროცესში, გათვალისწინებული იქნა კომპანიების კვალიფიკაცია, მომსახურების შეღავათიანი ფასი, ასევე, აუდიტორის მზად ყოფნა აუდიტორულ დასკვნასთან ერთად წარმოედგინათ შესაბამისი რეკომენდაციები ასოციაციის შემდგომი საქმიანობისათვის.

კომისიის წევრების მიერ მსჯელობის შედეგად დაადგინდა, რომ განხილული განცხადებებიდან ასოციაციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში იყო შპს „ფინანსური მართვის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი შეთავაზების პაკეტი აუდიტორული მომსახურების შესახებ (მომსახურების ღირებულება 2950 ლარი დღგ-ს ჩათვლით). აღნიშნულ კომპანიასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება, აუდიტორული შემოწმების ვადად განისაზღვრა 1 თვე (30 კალენდარული დღე, დაწყების თარიღი: მ/წ 21 მაისი, ხოლო დასრულების თარიღად - მ/წ 20 ივნისი).

2016 წლის 7 ივლისს, სარევიზიო კომისიის სხდომაზე, წევრებს წარედგინათ 2015 წლის ადვოკატთა ასოციაციის აუდიტორული დასკვნის პროექტი, რომელიც, გაცნობის შემდეგ, დამტკიცებულ იქნა იმავე სხდომაზე. 2015 წლის ადვოკატთა ასოციაციის აუდიტორული დასკვნა საჯაროა და განთავსებულია ასოციაციის ვებ-გვერდზე.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ შესყიდულია ახალი ოფისი ზუბალაშვილების 33 ნომერში 317476 ლარად, სადაც, მოეწყო დამატებითი კომფორტული და თანამედროვე სივრცე მასშტაბური ღონისძიებებისთვის, რისთვისაც ორგანიზაციას დაჭირდა სესხი 200 000 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა ასოციაციამ მოიზიდა სს „ვი თი ბი“, ბანკისგან 2 წლის ვადით.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი გადახარჯვები არის სასწავლო ცენტრის იურიდიული განათლების ხარჯებში და ჟურნალის გამოშვების ხარჯში, აუთვისებელია კომერციული სამართლის კომიტეტის ლიმიტი, რეგიონალური განვითარების პუნქტში დაგეგმილი ხარჯები, სისხლის სამართლის კომიტეტის ხარჯი 84.45%.

ხსენებულ აუდიტორულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ ადვოკატთა ასოციაციის მიერ 2015 წელს ყველა ძირითად ასპექტში გაწეული დანახარჯები აღრიცხულია არსებითი უზუსტობების გარეშე და სამართლიანად არის ასახული ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ფინანსური ვითარება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგები და ფულადი სახსრების მოძრაობა შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

ელგუჯა ჩხაიძემ მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს და აღმასრულებელ საბჭოს, ასოციაციის პრიორიტეტების სწორად დაგეგმვისა და შესაბამისად, სწორად და მიზნობრივად განხორციელებული ფინანსური აქტივობებისთვის.

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ადვოკატთა ასოციაციის სარევიზიო კომისიის ანგარიში 2016 წლის აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მეხუთე საკითხი: ადვოკატთა ასოციაციის საჭიროებებზე მსჯელობა;

თავმჯდომარემ კრებაზე დამსწრე წევრებთან ერთად იმსჯელა ასოციაციის წინაშე მდგარი ახალი გამოწვევების, პრობლემების და ასოციაციის განვითარების სამომავლო გეგმებზე. მან წევრებს მოუწოდა ერთიანობისკენ, სოლიდარობისკენ და თანადგომისკენ ადვოკატის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, რაც ადვოკატის ინსტიტუტის გაძლიერების ერთ-ერთი საფუძველია. ამ თვალსაზრისით, თავმჯდომარემ პარალელი გაავლო ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ უახლოეს წარსულში განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე და ისაუბრა ამ კუთხით მისი, როგორც ასოციაციის თავმჯდომარის მხრიდან ლოკალური თუ საერთაშორისო მასშტაბით განხორციელებულ აქტივობებზე, რასაც მოყვა დიდი რეზონანსი და მხარდაჭერა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. მან დასძინა, რომ ასოციაციის თავმჯდომარე უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ ადგილი აღარ ჰქონდეს მსგავს ქმედებას და ყველაფერი გაკეთდეს იმისთვის, რომ ადვოკატის პროფესია იყოს დამოუკიდებელი, ხელშეუხებელი და თუ კვლავ განხორციელდება ადვოკატის პროფესიაში ჩარევა და ხელშეშლა, ან მითუმეტეს ადვოკატზე ფიზიკური ძალადობა, ადვოკატთა კორპუსი უნდა იყოს ის ძალა, რომელიც მისცემს სათანადო რეაგირებას.

ასევე, თავმჯდომარემ აღნიშნა ადვოკატთა ასოციაციის შესამჩნევად გაზრდილი ცნობადობა და საერთაშორისო მასშტაბით პარტნიორი ორგანიზაციების მიერ აღმოჩენილი მხარდაჭერა მთელი ამ მიმდინარე პერიოდის განმავლობაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეწყობი ფაქტორია ასოციაციის გაძლიერების, იურიდიული პროფესიის დამოუკიდებლობის და ადვოკატთა ასოციაციის, როგორც ინსტიტუტის მდგრადი განვითარების პროცესისთვის.

მეექვსე საკითხი:

პროფესიული ჯილდოს მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხთან დაკავშირებით, თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციამ შეიძინა სასწავლო ცენტრისთვის ახალი საოფისე ფართი, რომელიც მთლიანად გარემონტდა და კეთილმოწყობილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრებით, შედეგად კი ასოციაციას დარჩება კიდევ ერთი კომფორტული და თანამედროვე სივრცე, სადაც ადვოკატებისთვის გაიმართება მასშტაბური ღონისძიებები.

მან მიმართა წევრებს წინადადებით, 2015 წლის 24 ოქტომბერს საერთო კრებაზე დამტკიცებული პროფესიული ჯილდოების მინიჭების შესახებ წესის *(ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ორდენი შეიძლება გადაეცეს პიროვნებას, ადვოკატთა ასოციაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის)* თანახმად, მიეღოთ გადაწყვეტილება, საქართველოს პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელობის ორდენით დაჯილდოების შესახებ, რაც იქნებოდა ასოციაციის მხრიდან პრეზიდენტის მიმართ მაძლიერების ღირსეულად გამოხატვა.

ასევე, თავმჯდომარემ წევრებთან ისაუბრა ასოციაციის ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი პარტნიორის - ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებლის - ანა სოულელიაკის (Anne SOULELIAC) მიერ ასოციაციისთვის აღმოჩენილი მხარდაჭერის შესახებ მთელი თანამშრომლობის პროცესის განმავლობაში და პროფესიული ჯილდოების მინიჭების შესახებ წესის თანახმად, მან შესთავაზა კრებაზე დამსწრე საზოგადოებას ანა სოულელიაკის (Anne SOULELIAC) ადვოკატის ღირსების ორდენით დაჯილდოება.

საქართველოს პრეზიდენტის - გიორგი მარგველაშვილის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელობის ორდენით და ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებლის - ანა სოულელიაკის (Anne SOULELIAC) ადვოკატის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ საკითხი დადგა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრას ესწრებოდა 268 ადვოკატი. წინააღმდეგი არავინ არ ყოფილა, თავი არავის შეუკავებია. შესაბამისად,

ერთხმად იქნა მიღებულ გადაწყვეტილება: 2015 წლის 24 ოქტომბერს საერთო კრებაზე დამტკიცებული პროფესიული ჯილდოების მინიჭების შესახებ წესის თანახმად, ადვოკატთა ასოციაციის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, საქართველოს პრეზიდენტი - გიორგი მარგველაშვილი დაჯილდოვდეს ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახელობის ორდენით, ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის დამფუძნებელი - ანა სოულელიაკი (Anne SOULELIAC) დაჯილდოვდეს ადვოკატის ღირსების ორდენით.

მეშვიდე საკითხი:

თავმჯდომარემ წარადგინა საკითხი საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 31-ე მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის 1 (ერთი) არა ადვოკატი წევრის არჩევის შესახებ. მან განმარტა, რომ არჩევნები გამოიწვია ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრის - ნაზი ჯანეზაშვილის მიერ კომისიის წევრობის დატოვებამ.

საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 31-ე მუხლის, მე-2 ნაწილის თანახმად, დარჩენილი ვადით ეთიკის კომისიის 1 (ერთი) არა ადვოკატი წევრის არჩევის შესახებ საკითხზე დაიწყო დახურული კენჭისყრა.

ხმის დამთვლელი კომისიის მიერ დაზუსტდა დარბაზში დამსწრე წევრთა რაოდენობა, რომლის თანახმად, აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 273 ადვოკატმა.

ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის - დიანა მარტიაშვილის მიერ გამოცხადებულ იქნა ეთიკის კომისიის 1 (ერთი) არა ადვოკატი წევრის არჩევნების შედეგად მიღებული შედეგები:

დათვლილი ბიულეტენების რაოდენობა - 269

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა -3

ეთიკის კომისიის არა ადვოკატი წევრობის კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. სულხან ონიანი - 266 ხმა

დახურული კენჭისყრის შედეგად, ხმათა უმრავლესობით, ეთიკის კომისიის არა ადვოკატ წევრად არჩეულ იქნა სულხან ონიანი.

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობა ამოიწურა.

კრებაზე საკითხები განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგლამენტით.

17:00 საათზე კრების თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

ზაზა ხატიაშვილი

ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ თავმჯდომარე